საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

№ 01/01-193 "9" 02 2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს,
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს საქმეს „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ" (კონსტიტუციური სარჩელები N665 და N683).

აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის პირველი აგვისტოს №200 ბრძანების დანართის 113-ე მუხლის და 114-ე მუხლის პირველი და მე-2 წინადადებებისა და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №116 ბრძანების დანართის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის და მე-9 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მოცემული საქმის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს დაადგინოს პენიტენციურ დაწესებულებებში აკრძალული ნივთიერებებისა და ნივთების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი შემოწმების შესაძლებლობა შესაბამისი ტექნიკური საშუალების (სკანერის)

საქართველო, ბათუმი,
6010, კ. გამსახურდიას ქ. №8-10,
ტელ.: (+995422) 27 00 99
ფაქსი: (+995422) 27 42 10
E-mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

8-10, K.
10 02 17
05

Batumi, Georgia
Gamsakhurdia Str., N 6010
Tel. (+995422) 27 00 99
Fax: (+995422) 27 42 10
E-mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

გამოყენებით. კერძოდ, მნიშვნელოვანია ხსენებული საშუალების გამოყენების ეფექტიანობისა და სამედიცინო თვალსაზრისით დასაშვებობის საკითხების გამორკვევა. აღნიშნული გარემოებების დადგენის მიზნით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სპეციალისტის მოწვევა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტზე დაყრდნობით, გთხოვთ, ზემოაღნიშნული საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე სპეციალისტის სახით მონაწილეობის მიღების მიზნით მოავლინოთ შესაბამისი თანამშრომელი, რომელიც კომპეტენტური იქნება უპასუხოს სასამართლოსათვის საინტერესო კითხვებს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. საქმის არსებითი განხილვის სხდომა გაიმართება 2017 წლის 16 თებერვალს 12 საათზე.

წერილს თან ერთვის N665 და N683 კონსტიტუციური სარჩელების ასლები (დანართი N1 და დანართი N2) და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/8/665,683 საოქმო ჩანაწერის ასლი (დანართი N3).

პატივისცემით,

თეიმურაზ ტუღუში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მეორე კოლეგიის თავმჯდომარე